# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 267

ქ. ბათუმი 06.11.2019 წელი

ერთი მხრივ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ჯემალ გვეტაძის სახით და მეორე მხრივ შპს „ეკონათება“, საიდენტიფიკაციო კოდი 445471132, მის: ქ.ბათუმი, ბარათაშვილის 36, მომსახურე ბანკი ს/ს “საქართველოს ბანკი”, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ნ GE16BG0000000563907500, წარმოდგენილი მისი დირექტორის შორენა თავდგირიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მომწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ამა წლის 15 ნოემბრისა შემსყიდველს აწვდის წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფასების ცხრილით) გათვალისიწნებულ საქონელს (CPV 39500000 - ქსოვილის ნივთები.)

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 60 ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. <u>დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები.</u>

### 3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.3. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბათუმი.

### 4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება სასაქონლო ზედნადების შესაბამისად 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს მაუწყებლის თანამშრომელი რიხარდ გიორგაძე.

### 6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (ჯემალ გვეტაძე) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

### 7. მხარეთა ხელმოწერები

Jemal Gvetadze

Подписано цифровой подписью: Jemal Gvetadze
Дата: 2019.11.06 11:59:12 +04'00'

--- ---

შემსყიდველი მიმწოდებელი

| ფასების ცხრილი ხელშეკრულება # 267 06.11.2019წ. | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დასახელება | CPV | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | თანხა |
| 1 | ტენტები - ტენტი 3*3 | 39522530 | ცალი | 2 | 30 | 60 |
| | **სულ** | **39500000** | | | | **60** |
| | სულ ჯამი | | | | | 60,00 |

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი
მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიოს
დირექტორის მოადგილე

ჯემალ გვეტაძე

მიმწოდებელი:

შპს "ეკონათება" დირექტორი

შორენა თავდგირიძე

Jemal Gvetadze

Подписано цифровой подписью: Jemal Gvetadze
Дата: 2019.11.06 11:59:30 +04'00'

---

შემსყიდველი

---

მიმწოდებელი